

Grigol Jokhadze

გრიგოლ ჯოხაძე

Ilia State University (Tbilisi)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Osip Mandelstam appeals to „Caesars' Europe“

(To the issue of Grigol Robakidze's personal and creative attitude to Mandelstam and his poetry)

ოსიპ მანდელშტამი მიმართავს „ცეზართა ევროპას“

(გრიგოლ რობაქიძისა და ოსიპ მანდელშტამის პიროვნულ-შემოქმედებითი ურთიერთობის საკითხისათვის)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10853>

In general, the paper discusses that well-known neurosis in the history of literature, when great authors sometimes do not understand each other, criticize each other's work and, accordingly, do not stand each other personally. In particular, such an attitude is observed in the case of Robakidze. Moreover: we deal with Robakidze's unilateral antipathy. Mandelstam never estimated Robakidze and perhaps did not even remember him. In the case of Robakidze, we observe another exception too: sometimes great authors compete with each other at the so-called *chronotope* distance, not knowing each other personally, but after meeting even become friends. What is more, they themselves recognize the role and significance of each other and even explain to others (like T.S. Eliot and James Joyce).

As the research (Titsian Tabidze's and Grigol Robakidze's not much-talked-of texts) has shown, Grigol Robakidze, to put it mildly, did not like Mandelstam's poetry since 1914, and in 1920-1921, during the visits of the Russian poet to Georgia, when he personally made the acquaintance of Mandelstam and clearly learned his unbearable character, Robakidze stopped communicating with him altogether.

Kew words: Mandelstam, Robakidze, creative and personal antipathy, Grigol Robakidze's review, Titsian Tabidze's critical essay

საკვანძო სიტყვები: მანდელშტამი, რობაქიძე, ანტიპათია, გრიგოლ რობაქიძის რეცენზია, ტიციან ტაბიძის კრიტიკული წერილი

გრიგოლ რობაქიძე ქართველ სიმბოლისტთა ჭეშმარიტი ინტელექტუალური ლოკომოტივი გახლდათ და, გასაკვირი როდია, რომ 1920 წლის 26 სექტემბერს, რუსი პოეტის, ოსიპ მანდელშტამის თბილისში პირველი სტუმრობისას (თბილისისთვის შეეფარებინა თავი იმხანად მწერალ ილია ერენბურგსაც), კონსერვატორიის დარბაზში ორი რუსი კალმოსნის პატივსაცემად გამართული საღამოც მას გაუხსნია და ახალ რუსულ პოეზიაზეც მას ულაპარაკია (ერენბურგს წაუკითხავს მოხსენება „ხელოვნება და ახალი ერა“, რის შემდეგაც ორივე სტუმარი საკუთარი ლექსებით წარმდგარა დამსწრეთა წინაშე) (ჯოხაძე, 2023, გვ. 137).

* * *

მეორედ მანდელშტამი საქართველოს 1921 წელს სწვევია მეუღლესთან ერთად (ჯოხაძე, 2023, გვ.140). ქართველ პოეტებს მისთვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თარგმნა „გაუჩარხავთ“ (ჯოხაძე, 2023, გვ. 144). ქართველი სიმბოლისტები ვაჟა-ფშაველათი რუსი კალმოსნების დაინტერესებას, ისე ჩანს, მანამდეც ცდილობდნენ: მაგ., გრიგოლ რობაქიძეს პოეტ ნ. გუმილიოვისთვის შეუთავაზებია

„გველისმჭამელის“ თარგმნა (ზაგრატიონ-მუხრანელი, 2015). ნინო ტაბიძის მოგონებისამებრ, მანდელშტამი თარგმნიდა „გველისმჭამელს“; პაველ ნერლერის თანახმად, მანდელშტამისთვის პოემა „კოპალას“ პწკარედიც წარუდგენიათ და პოეტს მისი საწყისი სტროფების თარგმნაც უცდია (ვრცლად იხ. ჯოხაძე, 2023, გვ. 62, 128).

საბოლოოდ, ლიტერატურის ისტორიას შემორჩა „გოგოთურ და აფშინას“ მანდელშტამის მიერ თეთრი ლექსით შესრულებული თარგმანი.

* * *

საქართველოდან გამგზავრების შემდეგ მანდელშტამი რამდენჯერმე გამოხმაურებია საქართველოში მის ყოფნას, და რუს პოეტს საქართველოცა და ქართველი მასპინძლებიც, ერთი მხრივ, უხიაგად დაუხასიათებია, მეორე მხრივ კი, საბჭოთა ბოლშევიკის პოზიციიდან გაუკრიტიკებია (იხ. მანდელშტამის ნარკვევები: „ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე“, „ბოლშევიკები საქართველოში“, „დაბრუნება“).

ტიციან ტაბიძეს მოგვიანებით შეუტყვია ამის თაობაზე და მძვინვარე წერილები უძღვნია გაზეთ „რუბიკონის“ 1923 წლის მეთერთმეტე და მეთოთხმეტე ნომრებში. პირველი მიემართებოდა იგორ ტერენტიევს (1892-1937) – რუს ფუტურისტ პოეტს, მხატვარსა და თეატრალურ რეჟისორს, რომელიც ნატალია კარპოვიჩზე დაქორწინებულიყო და 1916 წლიდან თბილისში, სიმამრის სახლში, ცხოვრობდა. ტიციან ტაბიძის თანახმად, ტერენტიევი „გამომდგარა დღეს მოსკოვის ჟურნალში და ნაცარქექიას ამბებს ჰყვება, თითქო მასთან მივიდა 25-ზე მეტი ქართველი ახალგაზრდა ფენიქსელები (sic!) (1922 წელს ქართველ ფუტურისტთა გაერთიანებამ საკუთარი მანიფესტი გამოსცა, სათაურით: „საქართველო – ფენიქსი“, გ.ჯ.) და სთხოვეს რჩევა, რომ „ცისფერი ყანწელეებისგან“ დაეფარა ისინი. თითქო „ცისფერი ყანწელები“ აჩერებდნენ ქართული პოეზიის ზრდას, იმით რომ საკუთარი თავის გარდა არავინ სწამთ. ჩვენ არ ვიცით ვინ არის ეს 25 კაცი, ანდა რატომ უნდა მიემართათ ტერენტიევისთვის, ეს ალბად (sic!) მისი 41 გრადუსის ფანტაზიაა, მაგრამ დღეს დაუვიწყია თასის (ალბათ „თავისის“, გ.ჯ.) ემიგრანტობის ამბავი, და მოსკოვში თავი უნდა გამოიჩინოს ყოველ მხრივ მემარცხენეთ. ჩვენ არ შევუდგებით მისი პიროვნების დაფასებას, რამდენად ის შეეფერება ამ ფრონტს, ალბად ის იქ აპირობს ახალ რეპუტაციის შექმნას: უნდა აგრეთვე თავი წარმოიდგინოს ერთგვარ წამებულათ, და ამბობს ტფილისში მცემესო. მაგრამ რა შუაშია ქართული პოეზია და ტერენტიევის ცემა. რატომ იყო ტერენტიევი ტფილისში სხვა აზრის და ოდებს სწერდა ყანწელებზე და შემდეგ რად დასჭირდა ასეთი პასკვილის დაწერა“ (ტაბიძე, 1923). 41 გრადუსის დირექტორი ტერენტიევი, გაზ. „რუბიკონი“, 1923, N11, კვირა, 17 ივნისი).

ამავე წერილს ტიციან ტაბიძე იწყებს ოსიპ მანდელშტამის კრიტიკით, რომელსაც, წინარეტქმულისამებრ, საქართველოდან გამგზავრების შემდეგ მის მიერ გამოქვეყნებულ ნარკვევებში ქართველებიცა და დამოუკიდებელი საქართველოც დეზორიენტირებულად და ეპიგონებად წარმოუჩენია:

„პირველად რუს პოეტებში ტფილისში ჩამოეთესლა ო. მალდეშტამი (sic!). უბრალო კაცმოყვარეობის გრძნობით ეს მშვიერი მაწანწალა აგასფერი სარგებლობდა შემთხვევით და მათხოვრობდა, მაგრამ როცა უკვე ყველას მოაძულა თავი, ძალა უნებურად უნდა გაჰყოლოდა გზას. ეს რუსული პოეზიის ხლესტაკოვი ტფილისში მოითხოვდა ისეთ მოპყრობას თითქო მისი სახით მთელი რუსული პოეზია ლაპარაკობდეს, და როდესაც მას თავისი ადგილი მიუჩინეს, ბათომის ქუჩებშიც გააწილეს, მან გემიდან დასწერა ბათომის გაზეთში „Гач“ უწმაწური წერილი, რომლის პასუხს არ მოუცადა. სამაგიეროდ პასუხი ამ ხლესტაკოვისთვის მიიღო ტერენტიევმა“ (ტაბიძე, გაზ. „რუბიკონი“, 1923, N11, კვირა, 17 ივნისი).

ტიციან ტაბიძეს იმავე, 1923 წელს, იმავე გაზეთ „რუბიკონში“, მეორე წერილიც გამოუქვეყნებია და ამჯერად ის მთლიანად მანდელშტამისა და მისი ანტიქართული კორესპონდენციისათვის მიუძღვნია. ტიციან ტაბიძე ბრალს სდებს რუს პოეტს, რადგან, ბათუმის ტყვეობიდან მისი ჩარევი-

თა და მეცადინეობით გამოხსნილი, ის ბოლშევიკ ბადრაგს სახავს გამათავისუფლებლად; ტ. ტა-ბიძე დასძენს, რომ მანდელშტამი ყირიმიდან მობილიზაციას გამოეყვანა და არა - გენერალ ვრან-გელს, და აქ ბოლშევიზმისათვის წამებულად წარმოაჩენს თავს; რომ ის ცრუპენტელა, თავხედი და ძალადმაცხონეა, და სხვ.

აი, ერთი ამონარიდი ამ წერილიდან:

„...ითხოვდა, რომ მისთვის პატივი ეცათ, როგორც ერთ დიდ პოეტისთვის, ქართველებმა სხვანაირად მიიღეს ბალმონტიო. ჩვენ გვეცინებოდა ასეთ პრეტენზიებზე. პაოლო იაშვილი ამასხარებდა. მხოლოდ გრიგოლ რობაქიძეს და ვალ. გაფრინდაშვილს სერიოზულად აწუხებდათ ასეთი უტიფრობა. პირველი მას არ ელაპარაკებოდა და განზრახ ერიდებოდა (აგრეთვე ფიზიკურად ვერ იტანს მას ვიაჩესლავ ივანოვი, მისივე თქმით). მეორემ საკმაოდ ამხილა მისი ხლესტაკოვის როლი და ჩვენი ხათრით შეიკავა თავი, რომ ისეთი პასუხი გაეცა როგორც ტერენტიევს რომელსაც ეს სილა ჯერაც ვერ მოუწელებია“ (ტაბიძე, 1923).

ამ ფრაგმენტიდან არ ჩანს, რომ თბილისში მეორედ ჩამოსული უმადური და მომთხოვნი მანდელშტამის *პატრონობაზე ცისფერყანწელებმა* ხელი აიღეს, მას მათხოვრობით გადაუწყვეტია თავის რჩენა (ცარიელ ბოთლებს აბარებდა და სხვ.), ასევე - ქართველ საბჭოთა დიდმოხელეთ წინ გადაუდგებოდა და თავხედურად სთხოვდა დახმარებას...

სამაგიეროდ, ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძეს საერთოდ შეუწყვეტია მასთან ურთიერთობა და უთქვამს, მანდელშტამს ვერც ვიაჩესლავ ივანოვი (1866-1949) – სიმბოლისტი პოეტი და თეორეტიკოსი – იტანსო. რობაქიძის ამ განცხადებას რამდენადმე ამყარებს ანა ახმატოვას შენიშვნაც, ვიაჩესლავ ივანოვი ვერ ჩასწვდა მანდელშტამსო! (ახმატოვა, 1989, გვ. 146). მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილია ჭაბუკი მანდელშტამის რამდენიმე წერილი ივანოვისადმი, არავინ იცის, უპასუხა თუ არა ადრესატმა დამწყებ პოეტს. ალბათ – არა. ევგენია გერციკის (1879-1944) – რუსი ემიგრანტი ლიტერატორის - მოგონებისამებრ, ვიაჩესლავ ივანოვი მათგან არავის აღიარებდა, 1911 წლიდან კი ველარც, საკუთრივ, მანდელშტამს დასწამებდი რაიმენაირ პიეტეტს ივანოვისადმი (გერციკი, 1973).

გრიგოლ რობაქიძე დიდად აფასებდა იმდროინდელ რუსულ პოეზიასა და რუს შემოქმედებს, და სამართლიანად ითვლებოდა ამ *დარგის* ექსპერტად. ეს ზემოთაც წარმოჩნდა, როცა მანდელშტამისა და ერენბურგის საღამოზე სწორედ ის წარმოთქვამს სეფე სიტყვას. ცნობილია მისი წერილი პოეტ ვლადისლავ ხოდასევიჩისადმი (1886-1939), რომელიც მწერლისა და მოაზროვნის, ანდრეი ბელის (1880-1934) ფიგურის შეფასებას და მასთან ნაცნობობას ეხება (Смерть Андрея Белого, 2013, გვ. 550-557). ამავე მასალიდან ირკვევა, რომ გრიგოლ რობაქიძეს ჯერ კიდევ 1918 წელს ჟურნალში „Ars“ დაუბეჭდავს ესეი „ანდრეი ბელი“.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ რობაქიძეს მანამდე არ მოსწონდა მანდელშტამი (და ამჯერად მის შემოქმედებით რენომეს ვგულისხმობთ), სანამ მას პირადად გაიცნობდა ანუ 1920-21 წლების ვიზიტის დროს თბილისში.

ხელთ ჩამივარდა გრიგოლ რობაქიძის 1914 წელს რუსულად დაწერილი წერილ „ომის ლექსების“ ქართული თარგმანი: ქართველი მწერალი მიმოიხილავს რუსული ჟურნალ „აპოლონის“ 1914 წლის მე-6-7 ნომრებში (რობაქიძე შეცდომით მე-7-8 ნომრებს ასახელებს, გ.ჯ.) გამოქვეყნებულ რუსულ პოეტურ პროდუქციას (გ. ივანოვი, თ. მანდელშტამი, ა. ახმატოვა, მ. კუზმინი...) და, ახმატოვას გარდა, ყველას სასტიკად აკრიტიკებს („არავითარი ენთუზიაზმი, არავითარი ცეცხლი,“ – აღნიშნავს რეცენზენტი რობაქიძე). საკუთრივ, მანდელშტამზე გ. რობაქიძე წერს:

„თ. მანდელშტამი მიმართავს „ცეზართა ევროპას“ და გულის გამაწვრილებლად მოგვითხრობს: „ბონაპარტეს რომ მოვუქნიე ბატის ბუმბული, პირველად ჩემ თვალწინ (ეს „ჩემ

თვალწინ“ შესანიშნავია როგორც რითმა და როგორც მინიშნება საკუთარ თავზე) იცვლება ჩემი საიდუმლო რუკა“. ვის სჭირდება ეს სუფთა ქრონიკული დამოკიდებულება ომის მიმართ? და თუ ეს არის ლირიკა, მაშინ ყველა სისულელე ლირიკა ყოფილა!“ (რობაქიძე, 2014, გვ. 24-25).

ჟურნალ „აპოლონში“ მანდელშტამის ორი ლექსია დაბეჭდილი: „ომის წინ“ და „ევროპა“. პირველ მათგანს, რომელშიც პოეტი ადრე მედგრად მეზრდოლი რომაელების იმჟამინდელ ნეიტრალიტეტს აღუშფოთებია, ქართველი რეცენზენტი საერთოდ არ იმჩნევს, მეორედან კი მხოლოდ ფრაგმენტი მოჰყავს.

ცოტა უფრო სხვაგვარია ორიგინალი ანუ რობაქიძის მიერ მეორე ლექსის რუსულად დაწერილი კრიტიკა:

„О. Мандельштам обращается к „Европе цезарей“ и тягуче рассказывает: С тех пор, как в Бонапарта гусиное перо направил Меттерних – впервые за сто лет и на глазах моих (это „и на глазах моих“ восхитительно, как рифма и как указание на собственную персону!) меняется твоя таинственная карта.

Кому нужно это чисто хроникерское отношение к войне? И если это лирика, тогда всякий вздор лирика!“

(ჩემი თარგმანი: ო. მანდელშტამი მიმართავს „ცეზართა ევროპას“ და ზღაზვნით გვიამბობს: მას შემდეგ, რაც მეტერნიჰმა ბატის ფრთა მიმართა ბონაპარტისაკენ – პირველად ასე წლის განმავლობაში, და ჩემ თვალწინ (ეს „ჩემ თვალწინ“ მომხიბლავია, როგორც რითმაც, და როგორც საკუთარ პერსონაზე მითითებაც!) იცვლება შენი იდუმალი რუკა. ვის სჭირდება ომისადმი ასეთი ქრონიკერული დამოკიდებულება? და თუ ეს ლირიკაა, მაშინ ყოველგვარი სისულელეც ლირიკა ყოფილა!“).

სამწუხაროდ, რობაქიძის სტილს კიდევ უფრო დვლარჭნის ქართული თარგმანი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, უზუსტოცაა: არც გუსინო პერო-ა „ბატის ბუმბული“ (ეს ბატის ფრთაა, საწერი საშუალება!) და არც – хроникерское отношение-ა „ქრონიკული დამოკიდებულება“ (აქ ქრონისტი, ქრონიკის, როგორც ასეთის, ავტორი იგულისხმება; ქრონიკაში, მოგეხსენებათ, ლაკონიურად და უემოციოდ გადმოიცემა ესა თუ ის ისტორიული ფაქტი)!

ამგვარად, ოპუსის სუმბურული ფრაგმენტი და ლექსის არანაკლებ სუმბურული „ნაფლეთი“ მკითხველს ვერაფერს ეტყვის ვერც ლექსსა და ვერც პოეტზე, თუმცა დიდი მისწრაფა არ დასჭირდება იმის წვდომას, რომ ქართველ მწერალს რუსი თანამოკალმის პოეტური შესაძლებლობანი არ აკმაყოფილებს: რობაქიძე გაიძახის, მანდელშტამი ლირიკოსი კი არა, ქრონისტიკოსი. მეტიც: მანდელშტამის ლირიკას ის სისულელედ მიიჩნევს!

და მაინც, რა მომხდარა? რად მოსცარვია ხელი იმხანად უკვე ოსტატად სახელდებულ მანდელშტამს, რომელსაც ჯერ კიდევ 1913 წელს გამოეცა მისთვის სახელმომხვეჭი პოეტური კრებული „ქვა“ (და, კაცმა რომ თქვას, სხვებსაც)?

რობაქიძე განაგრძობს:

„А случилось вот что. Современная война – это такое громадное явление, что едва-ли даже гении-титан сможет вместить ее в личном переживании: индивидуальный сосуд не выдержит. И нечего удивляться, если названные поэты не смогли пережить ее до самого дна. А с другой стороны, исчезла вера в поэзию, как в жречество, и жрецов, подлинных поэтов, на свете теперь мало очень, а эти немногие пока молчат. Поистине, лучше молчание в такую минуту, чем „слово“ указанных стихов“.

(ჩემი თარგმანი: აი, რა მოხდა. ეს ომი ისეთი უზარმაზარი მოვლენაა, ტიტანი გენიოსის პიროვნული განცდაც კი ვერ დაიტევს: ინდივიდუალური ჭურჭელი ვერ გაუძლებს. ამიტომ გასაკვირი არცაა, თუ დასახელებულმა პოეტებმა ვერ შეძლეს მისი გამოწვლილვით განცდა. მეორე მხრივ კი, გაქრა რწმენა პოეზიისა, როგორც ქურუმობისა: ქურუმნი, ჭეშმარი-

ტი პოეტნი, დღეს ძალიან ცოტანი არიან. ეს „ცოტანი“ კი ჯერჯერობით დუმან. ჭემმარიტად, ამ დროს დუმილი ჯობს, ვიდრე მითითებული გალექსილი „სიტყვა“).

ცხადია, რობაქიძეს შეემლო, ლექსი არ მოსწონებოდა, მაგრამ მას, როგორც ესთეტსა და პოეტური სიტყვის ექსპერტს, ალბათ სწორედ მანდელშტამისეული ლირიზმი უნდა შეემჩნია!

აი, ამ ლექსის (Европа) ჩემეული თარგმანი:

„ზღვის ვარსკვლავით, ხმელთაშუა ზღვის კიბოსავით
ხმელეთზე ბოლო კონტინენტი გდია ეული,
ფართო აზიის, ამერიკის მიხლას ჩვეული,
დის ოკეანე, დღეს ევროპის ვერც რით მმოსავი.

ცოცხალ ნაპირებს იარების ატყვია კვალი,
ნახევარკუნძულთ საჭრეთელი კვეთს ზეციერი,
ოდნავ ქალური ზნელ ყურეებს დაჰკრავთ იერი,
გენუისა და ბისკაიის ზანტად თრთის რკალი.

ევროპა – ძველი დამპყრობლების შეყრის მიზეზი,
ამ ფლასით მოსილ საღვთო კავშირს ვით მიეტუზა,
იტალია და ესპანეთი – ტერფი, მედუზა,
და პოლონეთი – უმეფო და უაზიზესი.

ცეზართ ევროპავ! მას შემდეგ, რაც ბონაპარტს მფრენი
ბატის ფრთა სტყორცნა მეტერნიჰმა, სხვა უკუნია,
ამ ხნის მანძილზე (და მანძილი საუკუნეა)
შევესწარ – რუკა იდუმალი იცვლება შენი“.

* * *

ის, რომ დიდი შემოქმედები ზოგჯერ ერთმანეთს ვერ უგებენ და, შესაბამისად, ვერც იტანენ, ლიტერატურის ისტორიის ცნობილი ნევროზია. სწორედ ასეთ ვითარებას ვაწყდებით რობაქიძისა და მანდელშტამის ურთიერთობისას. თანაც, ჩვენ წინაშე ცალმხრივი ანტიპათიაა: მანდელშტამს რობაქიძე არც შეუფასებია და მგონი არც დამახსოვრებია!

რობაქიძის შემთხვევაში კიდევ ერთ გამონაკლისს ვჭკვრეტ: ხანდახან დიდი შემოქმედები ერთმანეთს, ასე ვთქვათ, ქრონოტოპოსური დისტანციიდან, ერთურთის გაუცნობლად, ექიშპებიან, მაგრამ გაცნობის შემდეგ ზოგჯერ მეგობრდებიან და მეტიც: ერთმანეთის როლსა და მნიშვნელობას თვითონაც აღიარებენ და სხვასაც უხსნიან.

გრიგოლ რობაქიძეს მანდელშტამის პოეზია, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ 1914 წლიდან აღიზიანებს, 1920-21 წლებში კი, მაშინ, როცა პირადად გაუცნია და მისი უხიაგი ხასიათიც შეუცნია, საერთოდ შეუწყვეტია მასთან კომუნიკაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

რობაქიძე, გრ. (2014) ომი და კულტურა, წერილები, ესეები, ლიტერატურული პორტრეტები, რუსულიდან თარგმნეს მანანა კვატაიამ და ნათია ორმოცაძემ, თბილისი: „არტანუჯი“.

ტაბიძე, ტ. (1923). 41 გრადუსის დირექტორი ტერენტიევი, გაზ. „რუბიკონი“, 11, კვირა, 17 ივნისი.

ტაბიძე, ტ. (1923). გასტრალიორი ჭონტოლი, გაზ. „რუბიკონი“, 14, კვირა, 25 აგვისტო.

ჯოხაძე, გ. (2023). მანდელშტამიანა, რუსეთისა და საქართველოს კულტურული ისტორიის ფრაგმენტები, თბილისი.

Ахматова, А.(1989). Листки из дневника, Ахматова А.А., Requiem, Москва.

- Багратион-Мухраниели, И.Л. (2015). Кавказский подтекст диалога с вождем Мандельштама. Истоки концепта „Кремлевский горец“.
<https://cyberleninka.ru/article/n/kavkazskiy-podtekst-dialoga-s-vozhdem-mandel'shtama-istoki-kontsepta-kremlevskiy-gorets/viewer>
- Герцык, Е. (1973). Воспоминания, YMCA-Press, Париж. http://az.lib.ru/g/gercyk_e_k/text_0030.shtml
- Смерть Андрея Белого (1880-1934), (2013). Документы, некрологи, письма, дневники, посвящения, портреты, Составители: Моника Спивак, Елена Наседкина, Москва, Новое литературное обозрение.

References:

- Akhmatova, A.(1989). Listki iz dnevnika, Akhmatova A.A., Requiem, [Leaves from a Diary, A. A. Akhmatova, Requiem]. Moskva.
- Bagration-Mukhraneli, I.L. (2015). Kavkazskiy podtekst dialoga s vozhdem Mandel'shtama. Istoki kontsepta „Kremlevskiy gorets“. [The Caucasian Subtext of Mandelstam's Dialogue with the Leader. The Origins of the Concept of the „Kremlin Highlander“]. <https://cyberleninka.ru/article/n/kavkazskiy-podtekst-dialoga-s-vozhdem-mandel'shtama-istoki-kontsepta-kremlevskiy-gorets/viewer>
- Gertsyk, Ye. (1973). Vospominaniya. [Memories]. YMCA-Press, Parizh. http://az.lib.ru/g/gercyk_e_k/text_0030.shtml
- Jokhadze, G. (2023). Mandelst'amiana, rusetisa da sakartvelos k'ult'uruli ist'oriis pragment'ebi. [Mandelstamiana, Fragments of the Cultural History of Russia and Georgia]. Tbilisi.
- Robakidze, Gr. (2014) Omi da k'ult'ura, ts'erilebi, eseebi, lit'erat'uruli p'ort'ret'ebi. Rusulidan targmnes Manana K'vat'ai-am da Natia Ormotsadzem. [War and Culture, Letters, Essays, Literary Portraits, translated from Russian by Manana Kvataya and Natia Ormotsadze]. Tbilisi: „art'anuji“.
- Smert' Andrey'a Belogo (1880-1934), (2013). [The Death of Andrei Bely (1880-1934), Documents, obituaries, letters, diaries, dedications, portraits, Compiled by: Monica Spivak, Elena Nasedkina]. Dokumenty, nekrologi, pis'ma, dnevniki, posvyashcheniya, portrety, Sostaviteli: Monika Spivak, Yelena Nasedkina, Moskva, Novoye literaturnoye obozreniye.
- T'abidze, T'. (1923). 41 gradusis direkt'ori t'erent'ievi. [41 Degrees Director Terentyev]. Gaz. „rubik'oni“, 11, k'vira, 17 ivnisi.
- T'abidze, T'. (1923). Gast'raliori ch'ont'oli. [Gastraliori Chontoli]. Gaz. „rubik'oni“, 14, k'vira, 25 agvist'o.